№ 3

სამშაბათი, 6 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 8 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 9 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 3

სამშაბათი, 6 იანვარი, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 8 იანვარს.**

**მოსე ათანასეს ძე ქიქოძე** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა 4 იანვარს ქ. ქუთაისში საყვარელის მეუღლის

## ლიუბოვ როსტომის ასულის ქიქოძისას

პანაშვიდი იქნება ყოველ დღე დილის 9 საათსა და საღამოს 7 საათზედ. მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ საკუთარის სახლიდგან 7 იანვარს.

(1—226 - 1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს 8 იანვარს,

### ბენეფისი ზ. სვიმონიძისა

ქართულის დრამატიულის დასისაგან **ეფ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ერნანი

დრამა 5 მოქმედ. თხზ. ვ. ჰიუგოსი, თარგმ. ა. ნიკიტინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ეფ. მესხისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, გარელი, ზ.ზ. მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორიძ. **მესხ**

**სამშაბათს, 6 იანვარს, 1898 წელს,**

ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართული იქნება

## ბალი

ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებისათვის გულ ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო წოდების კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი, დანარჩენებისათვის—ფრაკი.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

### მთავრობის განკარგულებანი

—

ებ.ოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ბათუმის საწყობ დამოკის კანცელარიის მოხელეს შანიძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—საქცაზო მე VII ოლქის უმცროსს ტეხნიკოს ფანიაშვილს

გადაყვანილ იქმნა: პიატიგორსკის მე—151 ქვეითა რაზმის პორუჩიკი ტატიშვილი მიხეილის ციხის ქვეითა ბატალიონში.

## ახალი ამბავი

—

⁂ შაბათს, 3 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზედ, კავკასიის მთ ვარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი თავისის მეუღლის კნეინის მარიამ თეოდორეს ასულითურთ ნავთლუღის ნადეჟდას სახელობაზედ დაარსებულ თავშესაფარში ბძანდებოდა. ამ დღეს თავშესაფარის ბავშვთათვის გამართული იყო შობის ხე, რომლისთვისაც მთავარ-მართებელმა და იმისმა მეუღლემ მრავალი სხვა-და სხვა საჩუქარი შესწირეს. თავშესაფარშივე იყვნენ ტფილისის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ნ. რეიტერი და პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი.

⁂ გუშინ, 5 იანვარს, გამოასვენეს გვამი განსვენებულის ილია ლაზარეს ძის ოქრომჭედლიშვილისა სახლიდგან ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც წირვა და პანაშვიდი გარდაიხადა ხირსის მონასტრის წინამძღვარმა, არხიმადრიტმა ლეონიდემ სხვათა მღვდელთა თანადასწრებით. განსვენებულის გვამი, წირვის გარდახდის შემდეგ, წაასვენეს დიდუბის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში, რომლის გალავანშიაც დაკრძალულ იქმნა. მიცვალებულის პატივის საცემად საკმაოდ დიდი ხალხი შეგროვდა. განსვენებულის კუბოს ამშვენებდა რამდენიმე გვირგვინი, სხვათა შორის.

1, ილია ლაზარესძეს ოქრომჭედლიშვილს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“.

2, „დაუვიწყარს ილია ლაზარესძეს. მ. ს. ბეთანოვისაგან“.

3, „ძვირფასს ილია ლაზარესძეს ოქრომჭედლიშვილს. ბარბარე ნაკაშიძისა შვილებითურთ“.

4, „ძვირფასს მეგობარს ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს. დ. ზ. სარაჯიშვილისაგან“.

5, „დაუვიწყარს ილია ლაზარესძეს. არტემ წურინოვისაგან“.

6, „ჩემს გულითადს მეგობარს და დაუვიწყარს ამხანაგს. ილია ჭავჭავაძე. 3 იანვარი 1898 წ“.

7, „დაუვიწყარს ილია ლაზარესძეს. კ. და ი. მარკოზოვებისაგან“.

8, „ილია ლაზარესძეს ოქრომჭედლიშვილს, სასწავლებლის დაუვიწყარს მეგობარს. წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლისაგან“.

## ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

სიყვარულო, რა ძალა ხარ,
ღმერთნიც ვერ გიმძლავრდებიან,
ვერცა მეფენი, ვერც რჯულნი,
ვერც ჰკვანი გიმკლავდებიან
სუყველას თა ში ხმალსა სცემ,
ვინც-კი წინ გელობებიან,
ამ ქვეყნად შენგან ნახოცთა
სისხლის ზღვა ტბანი სდგებიან!..

დ. მაჩხანელი

### ძველი და ახალი ამბავი

—

გარდაიცვალა ილია ოქრომჭედლიშვილი, სერებრიაკოვი. დღეს განსვენებული მიწას მიაბარეს. საუკუნოდ გამოვესალმეთ, და სინიდისმა ქენჯნა დამიწყო. რისთვის? განსვენებულთან არც დაახლოვებული ვყოფილვარ, არც არავითარი საქმე მქონია. გულ-ნატკენი და გულ ნაკბენი ჩავიდა იგი საფლავში. რა დავუშავე, რა ვაწყენინე? მე არაფერი, მაგრამ ჩვენ ვაწყენინეთ კიდეც და დავუშავეთ კიდეც. მეც და სხვასაც წილი გვიძევს იმ საზოგადო უგონობაში, უმეცრებაში, ხასიათის სიმციერეში, რომელნიც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში იშვიათი არ არის, და რომელთან ბრძოლამ დღე შეუმოკლა ამ ფხიზელს, გამრჯელს, მცოდნე და კარგს მამულიშვილს. საქართველო მას ვერაფერს დაამუნათებს. სამშობლოს არა მიუცია რა მისთვის: არც შეძლება, არც ხარისხოვნება, არც სხვა რამ სიკეთე,—სული ჩაუდგა, მეტი არაფერი,—ცხოვრების ტიალ მინდორზე გააგდო, შენ თავს შენ თითონ მოუარეო. სიყრმიდანვე გაშორდა იგი მშობელ ქვეყანას, უცხოეთს შეეფარა; იქ ეცადა, იქ იტანჯა და კაცი გახდა, კაცი მცოდნე, გონებით სავსე, ხასიათით მაგარი. ჭკუა ფხიზელმა, გამრჯელმა, შრომის მოყვარემ საქმე კარგად წაიყვანა. ლაზარევის ინსტიტუტში პროფესორობდა, ქართულს ენას და სიტყვიერებას ასწავლიდა,—იქ პატივი მოიხვეჭა. ვაჭარ ხალხს დაუახლოვდა, საქმე დაიჭირა,—იქაც ნდობა და რწმუნება დაიმკვიდრა—ღირსეულ ადამიანად იცნეს, დააფასეს, საქმე გაუჩინეს. დაუღალავმა შრომამ, მუყაითობამ, კეთილი ნაყოფი მოუტანა—დიდი შეძლება შეიძინა, გამდიდრდა. და როცა გამდიდრდა, სამშობლო მოიგონა. ამ მდგომარეობაში სხვას იგი ავიწყდება. ჩვენში ასე გახლავთ. ოცდაათის წლის განმავალობაში შენაძენი სიყვარული, პატივის ცემა, კარგი ნაცნობობა, საზოგადოებასთან ზნეობრივი დამოკიდებულება და მოსაქმე ხალხთან ქონებითი კავშირი—ყოველი ეს, ამ ქვეყნის საუნჯე, რითაც კაცი სცოცხლობს სულითაცა და ხორცითაც — თავის სამშობლოს მსხვერპლად მოუტანა და საქართველოსაკენ გამოეშურა. მინდა ჩემ ქვეყანას ვემსახუროო; *) მრთელი სიცოცხლე უცხოეთში დავჰყავი, სიბერე მახლავს, როდისღა თუ არეხლაო. უთვალავ უანგარიშო სიმდიდრეა ჩვენში, უვიცი ხალხი ამ საუნჯეს ვერ ხედავს, ვერ აფასებს, ფეხითა სრესსო. „უნდა დავანახვოთ ვინც ვერა ჰხედავს, რომ ისინი ფეხთ ქვეშ სთელენ აუარებელს სიმდიდრეს; ყველა ის, რაც იმათ ვერ გამოუყენებიათ და უქმად ჰყრია დედამიწის ზურგზედ, რამოდენიმე შრომა რომ მოანდომონ, ოქროდ იქცევა და კეთილდღეობის შეუწყვეტელ წყაროდ. ეს, შრომაა, მაგრამ ისეთი კეთილ-მომქმედი შრომაა, რომ ღირს იმის გულისათვის დასთმოს ადამიანმა თავისი განცხრომა ცხოვრების სიკეთენი“ ასე ჰფიქრობდა განსვენებული, და ორმოცდა ათის წლის კაცმა, სამშობლოს სიყვარულით აღფთოვანებულმა, ისეთი საქმე დაიწყო, რომელიც ბევრს სიკეთეს უქადიდა იმერეთს. სამეგრელოს თავადს ნიკოლოოზს ლეჩხუმში ორასი ათას დესეტინამდე ტყე აქვს,—ტყე, უდაბური, ხელუხლებელი. პროფესორი კრასნოვი ამბობს, რომ ამ ტყეებში ას-ოც არშინი სიმაღლე ნაძვებიაო. ამ ტყიდან სამეგრელოს თავადს წელიწადში ხან ექვსი თუმანი შემოსდიოდა ხან ათიო! ეგეთი სიმდიდრის პატრონი ქვეყანა უცხოეთიდგან ეზიდება ხე-ტყეს და ყოველ წლივ მილიონებს იხდის. ოქრომჭედლიშვილმა ეს ტყე იჯარით აიღო და საქმე დაიწყო. წყლები გასწმინდა, კლდეები დაჰხეთქა, უვალ ალაგებზე გზები გაიყვანა—მედგრად შეებრძოლა ბუნებას; ბუნებამ ურჩობა გაუწია—გიჟმა და უბინადრო ცხენის წყალმა ხან სად იცვალა კალაპოტი და ხან სად. ოქრომჭედლიშვილმა ბევრი შრომა, დიდი ფული მოანდომა და ყოველ დაბრკოლებას სძლია, გაიმარჯვა. ბუნების ურჩობას გაუძლო, მოერია, ხოლო წამხდარ ადამიანის ვნებამ, ანგარებამ განსვენებული დაალონა, ბევრი მწუხარება და სიმწარე მიაყენა. „ბუნებასთან ბრძოლაში, როგორც იყო გავიმაგრე, ხოლო იმავე დროს მომიხდა წამხდარ, უვიც და ანგარ კაცთა ავ-ზნეობასთან ბრძოლა და იგი უფრო გამიძნელდა, ვიდრე კლდეთა და ქვათა რღვევა და მტვრევაო“.

მართლაც-და ამ კეთილ განზრახვით მოსულ კაცს არსაიდამ შველა არ აღმოუჩნდა: ყველა წინ გადეღობა, ყველამ დაბრკოლება წინ დაუხვედრა დიდმაც დ პატარამაც, იმანაც, ვისაც ღონე შესწევდა, იმანაც ვისიც მოვალეობა იყო კეთილ-შობილის კაცის ღირსება დაეფარა, მისი მოქალაქობრივი უფლება დაეცვა. განსვენებული თითქო მტრის ბანაკში მოჰყვა. კეთილ განზრახვით მოსულს კაცს მტრულად დაჰხვდნენ: არავითარ საძაგლობას არ მოერიდნენ და მრავალი მწუხარების დღე დააყენეს. სიკვდილს მემუქრებიანო ამბობს თავის ნაწერებში ოქრომჭედლიშვილი; გაუჭირდა, სიმართლე ვერსად ვერ იპოვა, დაიტანჯა სულითა და ხორცით, მაგრამ საქმეს მაინც არ უმუხთლა. მისმა რკინის ხასიათმა კარგ გზაზე დააყენა ეგ ახალი და ქვეყნის სასარგებლო წარმოება. ეს კი მოახერხა, ხოლო ხანგრძლივმა ბრძოლამ და ტანჯვამ დაასნეულა და დღე შეუმოკლა.—სხვა უბედურობას ესეც დაემატა: სოფელ საჭილაოში, სადაც ქარხანა და სხვა მოწყობილობა აქვს, ორჯელ ცეცხლი გაუჩნდა: პირველად მშვენიერი სახლი დაეწვა და მეორეთ მთელი ქარხანა. არც ერთი და არც მეორე დაზღვეული არა ჰქონია. ამ ამბავმა გლეხობა შეაწუხა: საჭილაოს და ახლო მახლო სოფლების მცხოვრებნი თავიანთ მამასახლისებით მივიდნენ და უთხრეს განსვენებულს „ვხედავთ, ჩვენთვის და ქვეყნისთვის კეთილი გსურთ, დიდი ზარალი ნახეთ და ერთის თვით ჩვენის ხარ-კამეჩით უსასყიდლოთ გვიმსახურეთო“. ოქრომჭედლიშვილმა უსასყიდლო სამსახური არ მიიღო, მადლობა შესწირა და უთხრა, „ამ თქვენმა ქცევამ ზნეობრივად მაინც დამაკმაყოფილაო“. ეს ერთად ერთი სამხიარულო შემთხვევა მქონდა ამ შვიდის წლის განმავლობაში იტყოდა ხოლმე განსვენებული.

ასე გათავდა ამ კეთილშობილ კაცის სიცოცხლე. დღეს იგი საფლავს მივაბარეთ.

მას ბევრისათვის ხელი გაუწვდენია, ბევრს დახმარებია, არა ერთი და ორი თავისის ხარჯით გამოუზდია, საზოგადო საქმეს მიჰშველებია. სამშობლო უყვარდა, და მისმა სიყვარულმა, მისთვის სიკეთემ სიბერის დროს ტკბილი, უზრუნველი, მდიდრული, ყველასგან პატივცემული ცხოვრება დაატოვებინა, ჩვენში მოიყვანა. ჩვენმა უგონობამ-კი ვერ გაგვაგებინა, რა სიკეთეს უქადიდა ამ კაცის განზრახვა იმერეთს.

ეხლა, იმედია, მიხვდებით, რისთვისაც მქენჯნიდა სინიდისი.

დაგვიწყებული მწერალი

*) „Записка объ административныхъ порядкахъ въ Кутаисской губерніи“.

⁂ კვირას, 5 იანვარს, ავჭალის იაფ-ფასიან სასადილოს სადგომში სცენის მოყვარეთა მიერ გამართული იყო სახალხო წარმოდგენა. ითამაშეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. თუმცა მოთამაშეთა უმეტესობა პირველად გამოვიდა სცენაზედ, მაგრამ მაინც მშვენივრად ჩაატარეს თავიანთი როლები და მოხერხებულის თამაშობით დამსწრე საზოგადოება დიდად ასიამოვნეს. აუარებელი ხალხი დაესწრო წარმოდგენას, ბევრი უადგილობისა გამო დაღონებული დაბრუნდა უკანვე. დამსწრეთა უმრავლესობას ხელოსანნი და საერთოდ მუშა ხალხი შეადგენდა. სწორედ დიდის მადლობის ღირსია ის ორიოდე ახალგაზდა ქალი და კაცი, რომელნიც შრომას არა ჰზოგვენ და შეუძლებელ ხალხს იაფ-ფასიან წარმოდგენებს უმართავენ. საჭიროა ტფილისის სხვა ახალგაზდა ქართველთაც მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და შრომით ან ფულით დაეხმარნენ ამ ფრიად საკეთილო და სასარგებლო საქმეს.

⁂ კვირას, 11 იანვარს, ჩვენის სასიქადულო მეფის ირაკლის გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულების დღეს, მცხეთის სვეტი ცხოვლის ტაძარში გარდახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის მეფის სულის მოსახსენებლად.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატას გარდაეცა თავ. ნიკოლოზ დიასამიძის მოკვლის საქმე, რომელიც პალატაში ბრალდებულის ბესო იმერლიშვილისა და სხვათა დამცველმა, ნაფიცმა ვექილმა ა. ყარაბეგოვმა გადაიტანა.

⁂ შაბათს, 3 იანვარს, ტფილისის ნემეცთა სასწავლებლის მთავრობამ იდღესასწაულა მასწავლებლის ა. ა. პრიმის 25 წლის სამსახურის იუბილეი. ტფილისის მცხოვრებ გერმანელთ 12,000 მან. მიართვეს საჩუქრად ბ-ნს პრიმს და სასწავლებლის მთავრობამაც მასწავლებლის ჯამაგირს 200 მან. მოუმატა.

⁂ დიდუბის მცხოვრებელთ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების რწმუნებულს კავკასიაში მიართვეს თხოვნა და შუამდგომლობენ იმის შესახებ, რომ მუშტაიდი არც დღე და არც ღამე არ დაიკეტოს და ხალხს ყოველთვის სიარულის ნება ჰქონდეს მუშტაიდზედ დიდუბეშიო.

⁂ ახლად დაარსებულ ღამის თავ-შესაფარში უკანასკნელ ორ ღამეს ღამის გამთევთა რიცხვმა 40 კაცამდე მიაღწია.

⁂ აქნამდე რკინის გზის იმ სადგურებზედ, სადაც საფოსტო დაწესებულებანი არ არის, წერილებსა და ჟურნალ-გაზეთებს რკინის გზის აგენტები უდრო-უდროდ არიგებდნენ და როცა თითონ მოისურვებდნენ, მაშინ მისცემდნენ ხოლმე პატრონებს, რადგანაც ამ საგნის შესახებ არავითარი კანონი არ იყო. ამ ჟამად კი უკვე დადგენილ იქმნა, რომ წერილები და ჟურნალ-გაზეთები მიეცეთ ხოლმე პატრონებს ყოველ დღე, როდესაც სადგური ტვირთებს იღებს, ან არიგებს, გარდა ამისა ნახევარი საათის განმავლობაში იმ მატარებლის წასვლის შემდეგ, რომელმაც ფოსტა მოიტანა.

⁂ საფინანსო კომისიას აზრადა აქვს ქალაქის საბჭოში შეიტანოს ახალი პროექტი, რომლის ძალითაც უნდა გაუქმდეს სავაჭრო—სამეურნეო პოლიციის უფროსის ზედამხედველის თანამდებობა, ხოლო იმის ნაცვლად როგორც სავაჭრო—სამეურნეო პოლიციის მოქმედებას, აგრეთვე ქალაქის ბაზრებს თვალყური გამგეობის მეოთხე წევრმა უნდა ადევნოსო.

⁂ გაზ. „ტფ. ფურც.“ სწერენ პეტერბურგიდგან, რომ თებერვალში საერო განათლების სამინისტროში მოლაპარაკება ექმნებათ კავკასიაში სატეხნიკო განათლების გავრცელების შესახებაო. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი ე. პ. იანოვსკიცაო.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ყურადღება მიაქცია რა იმ გარემოებას, რომ სოკოთი ავადმყოფ ვენახებს საჭიროა თავისს დროზედ ეწამლოს ხოლმეო, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს წინადადება მისცა, რომ მოილაპარაკეთ ამ საქმისთვის საჭირო იარაღების საწყობის დაარსების შესახებაო (С. П. Вѣд.).

⁂ „Пріаз. Кр.“ სიტყვით, ამ წელს შეუდგებიან კავკავის რკინის გზის სადგურის დარკოხიდგან სამხედრო—ოსეთის გზამდე ლიანდაგის გასაყვანად ადგილის გამოკვლევას. ეს შტო ფართო-ლიანდაგიანი იქნება. შტოს გამყვანად ასახელებენ უმაღლესად დამტკიცებულ საზოგადოებას „ალაგირს“, რომელსაც აზრადა აქვს ამ საქმეს 5 მილიონი მანეთი მოახმაროს.

⁂ სოხუმის ოლქის, სამურზაყანოს ნაწილის სოფ. მუხურისა და გალის საზოგადოებათა მცხოვრებლებმა განაჩენი შეუდგინეს იმათ, რომელნიც მუდამ დროს ქურდობასა და ავაზაკობაში ატარებდნენ. ამ განაჩენით გაგზავნილ იქმნება ციმბირში: გაჯინი (იგივე იაკობი) დავითისძე ანტია, პანჯო ჩანტურია და ჯონჯო (იგივე გერასიმე) ძიკიას ძე გვალია.

⁂ ქუთაისი. 2 იანვარს ქალაქის თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენა იქმნა გამართული თეატრის დაარსების წლის თავის შესრულების გამო. წარმოდგენილ იქმნა თავ. გ. ერისთავის კომედია „გაყრა“ და დ. გ. ერისთავის გადმოკეთებული კომედია-ფარსი „ორღანო და ლეკვი“. წარმოდგენის დასასრულს ბ-ნმა კ. დ. ყიფიანმა ქართულის თეატრის აღორძინების მოკლე ისტორია წაიკითხა და არტისტებმა თავ. გ. ერისთავის ქანდაკება დადაფნეს. ამავე დროს არტისტმა გ. ს. თუთბერიძემ ამ საღამოს შესაფერი ლექსი წაიკითხა. წარმოდგენას კარგა ბლომად დაესწრო ხალხი.

⁂ ქ. სიღნაღი. ამ დღეებში ჩვენს ქალაქს ეწვია ვიღაც კოხტად მორთულ-მოკაზმული ორი ძმა კ. ამ ვაჟბატონებმა ხმა გაავრცელეს, რომ ცოლი უნდა შევირთოთ აქ და მზადა ვართ თუნდ ისეთ ქალზედაც დავიწეროთ ჯვარი, რომელსაც მზითევი არ ექმნებაო. მაშინვე დაფაცურდნენ გასათხოვარ ქალების პატრონები და მაჭანკლები მიუგზავნეს. ერთმა ამ ვაჟბატონთაგანმა კიდეც დანიშნა ორის დღის განმავლობაში ორი ქალი და საპატარძლოების დედმამას გამოუცხადა, რომ, რომელიც წინ-და-წინ 400 მან. მომცემს და ნებას დამრთავს ტფილისში დავიწერო ჯვარი, იმის ქალს შევირთავო. ამ გარემოებამ საპატარძლოების დედმამა შეაფიქრიანა. დაიწყეს კვლევაძიება ამ ვაჟბატონების შესახებ და აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი ცოლშვილიანია და მეორესაც დანიშნული ჰყოლია ქალი ბაქოში. მოტყუებული მშობლები დაემუქრნენ სასიძოებს, მაგრამ ვიღამაც გააფრთხილა და ისინი გაჰქრნენ ქალაქიდგან. („ახ. მიმ.“).

⁂ ვლადიკავკასი. ბ-ნ ჯიშკარიანისაგან დეპეშა მოგვივიდა და იწერება, რომ ამირის ახლო-მახლო მდებარე მხრის ქართველები ნათესავებსა და ნაცნობებს ახალს წელს ულოცავენ და ბედნიერად ცხოვრებას უსურვებენო.

⁂ თიანეთი. 12 დეკემბერს ტფილისიდგან თიანეთში მომავალს ფოშტაზედ მოდენილს ჩაფარს საბადურის მთაზედ შეხვედრია ერთი ერწოელი გლეხი, რომელიც შიმშილსიცივისაგან ისე ყოფილიყო დასუსტებული, რომ ძლივსღა თურმე მოადგამდა ფეხებს. ჩაფარი რომ მიახლოვებოდა ხსენებულს გლეხს, იმას ჩაფრისათვის პური ეთხოვნა. საუბედუროდ არც ჩაფარს და არც ფოსტაზე მომავალს ფოსტალიონს პური არა ჰქონდათ. მომავალს სოფ. საყდრიონის მცხოვრებელს სიმონა სასაურს უიმედოდ თავი გადაექნია, უკანასკნელად კიდევ ეცადნა თავისი ძალ-ღონე და იქვე, გზის მახლობლად, თოვლშივე ჩაჰკეცოდა ფეხები. ჩაფარს ეს ამბავი სადარაჯოში ჩამოსვლისთანავე მამასახლისისათვის ეცნობებინა. მამასახლისის მიერ გაგზავნილმა კაცებმა იმ დღესვე საღამოს მთიდგან ჩამოიტანეს გათოშილი ს. საური, რომლის პირველივე სიტყვა პურის თხოვნა იყო. პური მიაწოდეს და სხვა გვარადაც ეცადნენ მამასახლისი და იქ დამსწრენი იმის გამობრუნებას, მაგრამ უბედურმა სულ ერთი საათიღა იცოცხლა.

როგორც შევიტყეთ, სისაური რამდენისამე დღის წინად სოფლიდგან ტფილისში სამუშაოდ წასულიყო იმ იმედით, რომ აღებულის ფულით ხარჯი მოეშორებინა. ტფილისში, რაღა თქმა უნდა, სამუშაო ვერ ეშოვნა, სახლიდგან წაღებული საგძალიც გამოჰლეოდა და იმედ-მიხდილი ისევ სახლისკენ გამობრუნებულიყო, მაგრამ ულმობელმა სიცივეებმა და ზედ დაყოლილმა შიმშილმა სახლამდის აღარ მოაღწევინა ცოცხალს.

ეს პატარა ამბავი და მრავალი ამგვარი, რომელიც ჩვენის საზოგადოების ყურამდე არ აღწევს, ერთხელ კიდევ აშკარად აღნიშნავს, რა სიღარიბეშია ჩვენი ხალხი და, ჩვენის აზრით, ამას უნდა ეშველოს რამე. ქართველს მუშას, ტფილისში ჩასულს, მისამართი არსად არა აქვსრა და მარტოს, უცხოს უცხოთა შორის, არავინ რა დახმარებასა და შველას გაუწევს. ნუ თუ ასეთი მდგომარეობა ღირსი არ არის, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს და წამალი რამ გამოუნახოს?!.

⁂ 3 იანვარს, მე-V ნაწილის პოლიციელთ ვიღაც მ—ს ხელიდგან გამოჰგლიჯეს 15 წლის პირ ახვეული ქალი, რომელიც ძალით მიჰყავდა „ოდესის ნომრებში“. მ—ს სამართალში იქმნა მიცემული.

⁂ 12 იანვარს უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთა სადილზედ დასასწრებლად ბილეთების ყიდვა იმათ გარდა, რომელთა სახელი და გვარი უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში, შეიძლება კიდევ ლ. ი. შევალიესთან (კოჯორის ქ. № 1) და ს. ბ. ხალათოვთან (ლაბორატორიის ქ., საკუთარი სახლი).

## სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება.

30 დეკემბერი.

ეს კრება ბევრათ იყო საყურადღებო და საინტერესო, მაგრამ ტფილისის საზოგადოება ვაჟკაცურად მოჰრიდებოდა ამ კრებას, თუმცა გაზეთებში ეწერა, რომ არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენო.

საზოგადოების სრული ყურადღება მიიპყრო და ხანგრძლივი ბაასიც გამოიწვია ბ-ნ ქალანთარის მოხსენებამ მინდვრის თაგვთან ბრძოლის შესახებ. თურმე ნუ ბრძანებთ, რომ იმ სით-

## ელზას-ლოტარინგია

(ბედი.—საზოგადო სურათი.—ენა და პოლიტიკური დამოკიდებულება).

I

ელზასი! ხშირად გაუგონია და ძალიან ხშირად ესმის კიდევ ეს სახელი მკითხველს საზოგადოებას. განა ისე ამოილება ამ დღეს ევროპის დიპლომატიაში, რომ ეს სახელი თავისს ტყუპის-ცალით—ლოტარენგიით არ ახსენონ! ლაპარაკი ალიძვრის თუ არა ომისა ან მშვიდობიანობის შესახებ, ორ დიდ სახელმწიფოს შორის ხელ-შეკრულობა—კავშირის დადებისა, ან დიდის ერის მიერ პატარა ერის დაჩაგვრ-დათრგუნვისა, ან ამ უკანასკნელთა განთავისუფლების, ან ერთის სახელმწიფოსაგან ისტორიულის საბუთებით რომელისამე ნაწილის ჩამორთმევისა, ანუ რომელისამე ცვლილების შემოღების გამო ამა თუ იმ დაპყრობილ ქვეყნის სასარგებლოდ, ყველგან უსათუოდ ელზასი და ლოტარენგიაც უნდა ახსენონ. იგი გამხდარა კვანძად დასავლეთის დიპლომატიისა და აქედგან მთელის ევროპისა, ან განა შეიძლება ისე შეეხოს კაცი დღევანდელს საფრანგეთსა და გერმანიას, რომელ მხრიდგანაც უნდა იყოს—ეკონომიურისა, პოლიტიკურისა თუ სხვა მხრივ, რომ ელზას-ლოტარენგიას გვერდი აუქციოს. თუმცა მე ამ წერილში აზრად არა მაქვს არც ერთისა და არც მეორე სახელმწიფოს შესახებ ლაპარაკი, მაგრამ, ვგონებ, რომ საინტერესო იქნებოდა გამეცნო საზოგადოებისათვის ევროპიის ის ერთი კუთხეთაგანი, რომელსაც სწორეთ რომ ქათმის ბედი დამართნია, გამეცნო იმდენად, რამდენადაც მისი გაცნობა რამდენსამე დღეში შეიძლებოდა, იმ მხრივ, რა მხრივ იგი საინტერესოდ მიგვაჩნია.

ბუნება, საზოგადო სურათი ამ ქვეყნისა სრულიად არაფრით არ განირჩევა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილისაგან, რომელთანაც ამ 26 წლის წინად ერთს განუყოფელს მხარეს წარმოადგენდა. იგივე ადგილ-ადგილ ვაკემინდორ-ველები, განიერი ხეობები და დაბალი მთა-გორაკები; იგივე კულტურა: ხვნა-თესვა—ბარად, ფერდობზედ—ვაზი, მთასა და კრიოხებზედ—ტყე; იგივე მშვენივრად დაწკრიალებული, ნაპირებზედ ხეებით მოქარგული გზა-ტკეცილები, არხები, რკინის გზები, რომლებიც აღმა-დაღმა ჰქსელავენ არე-მარეს. ნანსიდგან რკინის გზით მიმავალი მგზავრი გაუჩერებლივ რომ განაგრძობდეს გზას და აქ რომ არა ჩერდებოდნენ დამოჟნაში, ვერც-კი მოიფიქრებდა ვინმე, თუ ავრიკურიდგან (საზღვარია) უკვე სხვა სახელმწიფო იწყება. აქ-კი ვაგონიდგან ჩამოსვლის შემდეგ, ისე სწრაფად იცვლება ყველაფერი—სულდგმულიდგან უსულდგმულომდის, რომ ძალა უნებურად იცქირებით და ჰფიქრობთ: ნეტა იგივე ცა და იგივე მიწაა, რომელზედაც ამ წუთას ვიყავითო. თითქოს ამ ორ ქვეყნის შუა უხილავი კედელი ჩადგაო. მოხელე ხალხი, მათი ტანთ-საცმელი, ქცევა, მიმოხვრა, ლაპარაკი, წეს რიგი სულ ერთიანად, როგორც ჯოხი გადატეხოთ, ისე გადატყდა. ისინიც-კი, ვისგანაც აქამდის ფრანგული ლაპარაკი გესმოდათ, ეხლა აჰაურულად ალაპარაკდნენ. ერთი ოჯახი, რომელიც აქამდის განუწყვეტლივ ფრანგულად ლაპარაკობდა და კრინტი არ დაეძრა გერმანულად, ერთბაშად დიდიან-პატარიანად გერმანულად ალაპარაკდნენ. ამგვარმა ქცევამ ძალიან გამაოცა და მიზეზს დავეკითხე. „იქ გერმანულის ლაპარაკით არავინ გვინდოდა გაგვეჯავრებინაო, აქ-კი ფრანგულით არავის გვინდა ვაწყენინოთო“, მიპასუხეს ხმა-დაბლა და განაგრძეს ლაპარაკი ისევ გერმანულად, ერთი ფრანგული სიტყვაც არ წარმოსცდენიათ. თითონ-კი ელზასელები იყვნენ. ავრიკურიდგან დაწყებული სტრასბურგამდის ძნელად შეხვდებით კაცს, მეტადრე რკინის გზის მოსამსახურეთ, რომ ფრანგულად არ ლაპარაკობდეს, სმენით ხომ ყველას ესმის. მაგრამ გაჰკირვებაში თუ გიპასუხებს ფრანგულად, თუ ამ ენაზედ შეეკითხეთ რასმეს, თორემ სხვაფრივ გერმანულად გაცნობებს ამა თუ იმ ცნობას, თუნდა გაიგო რამე და თუნდა არა.

რაკი სიტყვა ენის შესახებ ჩამოვარდა, ვთქვათ, რა მდგომარეობაშია ამ მხრივ ეს მხარე. როგორც ლოტარენგიასა, ისე ელზაში ფრანგული ენა ოფიციალურად აკრძალულია ყოველს საზოგადო დაწესებულებაში. საშუალო სასწავლებლებში ამ ენას ასწავლიან, როგორც უცხო-ქვეყნის ენას, და იმისს გაკვეთილებს კვირაში მხოლოდ სამი საათი აქვს მიჩემებული. რაც შეეხება პირველ-დასაწყისს სკოლებს, აქ იგი სრულებით აღკრძალულია, ამასთან სოფლის მასწავლებლებს აღკრძალული აქვთ კერძოდ ფრანგულის ენის სწავლება. ამის გამო ამ ჟამად ელზასში სოფლად ახალთაობამ სრულიად აღარ იცის ფრანგული. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ელზასში გლეხობა სულ მუდამ ელზასურად ლაპარაკობდა, ე. ი. წამხდარ გერმანულად, ვიდრე ფრანგულად, მაგრამ ფრანგებთან ყოფნის დროს საერთოდ ორი-

ხეს, რომლითაც თაგვების გაწყვეტას აპირებდნენ, ის ჩვენი დამღუპავი თაგვები უსუქებია; დიაღ, უსუქებია! ბ-ნმა ქალანთარმა სამჯერ თქვა „უსუქებიაო“ და მთელი კრებაც დაეთანხმა ნაღვლიანის ღიმილ-სიცილით.

იმ საშუალებამაო, სთქვა ლექტორმა, რომელმაც რუსეთში მუსრი გაავლო მოსავლის მტერს, ჩვენი თაგვები დაასუქა და მით შეგვარცხვინა და დაგვამცირა ჩვენცა და ჩვენი საზოგადოებაც, იმ ოუარებელ ზარალისაც რომ არა ვსთქვათ რა, რომელსაც ეს ცხოველი აძლევს მეურნეობასაო. ეს ამბავი ჩვენმა საზოგადოებამ აცნობა დეპარტამენტს, მაგრამ იქიდგან მოგვწერეს რომ საშუალება რიგიანად ვერ გიხმარიათო.

ს. ნ. ტიმოთეევი. მე თვითონა მქონდა მონდობილი თაგვების გაწყვეტა და დიდად ვსცდილობდი ამას, მაგრამ უნდა გულახდით ვსთქვა, რომ თაგვები უფრო გასუქდნენ. ამისი მიზეზი მარტო ის არ არის, რომ პურის გულში გაკეთებულ შხამს წარმოუდგენელის ჯიუტობით ერიდებიან. ჩემის ხელით სოროებში ვუდებდი შხამს, მაგრამ პირს არავინ ახლებდა ხოლმე. ამით რო ვერა გავაწყვერა, ვიჭერდი თაგვებს, ყუთში ვსხამდი და იქ ვაძლევდი მოშხამულს ნაწილებს, მაგრამ თაგვები შიმშილსა და სიკვდილს არჩევდნენ შხამის ჭამას. ბოლოს, ძალიან რო გამიჭირდა, შხამიან სითხეში სველება დაუწყე ბალახს და დამწყვდეულ თაგვებს იმით ვკვებავდი, მაგრამ ვერც ამ საშუალებამ იმოქმედა ჩვენს მტერზედ: თაგვები ცოტა ხნობით ავად ჰხდებოდნენ, მაგრამ მალე ისევ გამობრუნდებოდნენ ხოლმე, ეტყობა დონია ავადმყოფობა იხადესო.

ამის მიზეზად მე ის გარემოება მიმაჩნია, რაც გერმანულ ლიტერატურაში გამოამჟღავნეს ამ მოკლე ხანში, სახელდობრ ის, რომ ლეფლერის სითხე, რომელსაც ჩვენა ვხმარობთ მოსაშხამად, დამზადების შემდეგ 4—5 თვეში ჰკარგავს თავისს მავნე ძალას, და ისე მოქმედობს თაგვზედ, როგორც აცრა. ჩვენ-კი 7—6 თვის დამზადებულს შხამსა ვხმარობდით, გარდა ამისა, ჩვენში თაგვის გამრავლებას ისიც უწყობს ხელს, რომ მთელის წლის განმავლობაში აქვს საჭმელი: აქ არც დიდი თოვლი იცის, არც დიდი ყინვები, რაც ყველა წამალზედ უკეთ უღებს ბოლოს იმათს გამრავლებას. წლევანდელი თოვლ-ყინვები თითქმის მთელს ამიერ-კავკასიაში იმედს გვაძლევს, რომ გამრავლებული თაგვი ვერ გაუძლებს ცივს ზამთარს.

ცოტა ოდენი კამათის შემდეგ საზოგადოებამ დაადგინა შეადგინოს კომისია სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ერთის მოხელისაგან, სამხედრო სამკურნალო ლაბარატორიისა ერთის წევრისაგან და სამეურნეო საზოგადოების დახელოვნებულ წევრისაგან, რომლებმაც ზემოხსენებული წამალი თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილების თანახმად იხმარონ, ხოლო თუ სითხის სიახლე უსაჭიროეს პირობად აღმოჩნდება, ვთხოვოთ მთავარმართებელს, რომ ნება დართოს სამხედრო სამკურნალო ლაბარატორიას საჭირო სითხე ტფილისშივე მომზადდესო.

მეორე საგანი, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, იყო ბ ნ. ნატროშვილის მიერ გარეული აბრეშუმის ჭიის აღმოჩენა ჭაჭუნაში, რომლის პარკი სანიმუშოდ წარმოადგინა. ბ-ნ ნატროშვილმა სთქვა ამასთანავე, რომ ჭაჭუნაში (სიღნაღ. მაზრა) აუარებელი ჭია არის, რომელიც თუთისა და წაბლის ფოთლით იკვებება და იქვე აკეთებს პარკსაც და ტომრებით გააქვთო. ამ აღმოჩენას ის მნიშვნელობა აქვს, რომ შეიძლება, სხვათა შორის, კავკასიაც ყოფილიყო აბრეშუმის ჭიის სამშობლოვო. ბ-ნმა ტარატინოვმა სთქვა, რომ მე დიდი ხანია რაც ეგ მწერი ვნახე კახეთშიო. საზოგადოებამ ბოლოს თვით ბ-ნ ნატროშვილსა სთხოვა უფრო დაწვრილებითი ცნობები შეკრიბოს გარეულ აბრეშუმის ჭიის განვითარებასა და რაოდენობის შესახებ და საზოგადოებას აცნობოს.

ი. გ—რი

### ვინ არიან ხევსურნი?

მოგეხსენებათ, რომ მოსკოვში 1897 წლის დამლევს გამოვიდა უზარმაზარი წიგნი, რომლის შემოსავალი გადადებულია ოსმალეთში დაზარალებულ სომეხთათვის. სხვათა შორის გრაფინია უვაროვისამ, თავმჯდომარემ მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებისამ, ამ წიგნში დაჰბეჭდა თავისი „მოგზაურობა ფშავ-ხევსურეთში“. ეს წერილი შემკულია სურათებით და სავსეა შეცდომებით. ამ უკანასკნელთა დაწვრილებით აღნუსხვას ჩვენ არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს გაუგებარს გარემოებას, გრაფინია უარს-ჰყოფს შემცდარს აზრს, ვითომც ხევსურები ჯვაროსნობის ჩამომავალნი იყვნენ, მაგრამ ამასთანავე არა ნაკლებად საოცარს და დაუსაბუთებელ აზრს წარმოსთქვამს ხევსურების ჩამომავლობის შესახებ, ისინი მიაჩნია „ზაპოროჟცებად“ ანუ „სარმატებად“. აი, მოისმინეთ თქვენის ყურით ეს ახლად გამოცხობილი სამეცნიერო ჭეშმარიტება.

Что *) хевсуры не грузины и не грузинскаго происхожденія— мнѣ кажется фактомъ неопровержимымъ, но вмѣстѣ съ тѣмъ видѣть въ нихъ потомковъ крестоносцевъ весьма трудно, ибо ничто не подтверждаетъ этого мнѣнія: ни жизнь хевсуровъ, ни ихъ нравы, ни обычай, что-же касается до употребляемаго ими до сихъ поръ вооруженія и изображенія креста, которые встрѣчаются въ ихъ орнаментахъ, то первое вѣроятно заимствовано ими не съ запада, а съ востока, а вторые употребляются ими въ тѣхъ-же формахъ, какъ у славянъ. Типъ хевсуръ напоминаетъ скорѣе древняго запорожца или сармата съ траяновой колонны; тѣ-же обувь, тѣ-же панталоны, та-же усы, короткія бороды, мужественныя физіономіи и чубъ древнихъ запорожцевъ“...

მიულოცეთ ხევსურებს ზაპოროჟცების და სარმატების ჩამომავლობა, რაიცა მტკიცდება, გრაფინიას აზრით, ულვაშებით, წვერით და შალვარით! არც ერთი ანტროპოლოგი არ გაჰბედავს ასე მამაცად ძნელის საკითხის გადაწყვეტას. გრაფინია ერთის კალმის მოსმით აუქმებს ხევსურების ჩამომავლობას, თუმცა ენა, ეს ერთად-ერთი უტყუარი საბუთი, სხვა საშუალებასთან შედარებით, მონათესაობის ღსანიშნელად გრაფინიას აზრის წინააღმდეგ ჰღაღადებს. ჩვენ გვახსოვს შარშანდელი გრაფინიას მოხსენებაც საარქეოლოგიო საზოგადოებაში, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ სვანები ქართველების ჩამომავალნი არ არიან, რადგანაც ქართველ ბოქაულს იმათი ენა არ ესმოდაო. ხევსურებს ხომ ესმით ქართული ენა, რაღ ინება გრაფინიამ მათი გასარმატება?!. სჩანს მოეწონა გრაფინიას ერთხელ წამოსროლილი აზრი! მან აღიარა შარშან, სვანები ზაპოროჟცები არიანო და წელს ბეჭდვით გვარწმუნებს, რომ ხევსურებიც ან ზაპოროჟცები და ან სარმატები არიანო. ნეტავ გრაფინიამ დაგვისახელოს; მეცნიერთათვის უცნაური ტიპი სარმატისა რას წარმოადგენს, რომ გვქონდეს საშუალება შევადაროთ ხევსური სარმატს? ან რა ისტორიულის მოსაზრებით შეიძლება დამტკიცდეს, რომ სარმატები და ზაპოროჟცები ხევსურეთში ოდესმე დამკვიდრდნენ?!. თუ მხოლოდ იმისთვის არის ასეთი აზრი გამოთქმული, რომ ახალი რამე ითქვას, ვინ არის თავდები, რომ ხვალ მთლად ქართველობა ზაპოროჟცებისა და სარმატების ჩამომავლებად არ იქმნებიან აღიარებულნი?!.

Zina-Mina

*) Братская помощь пострадавшимъ въ турціи армянамъ, 258.

## რუსეთი

— როგორც ფინანსთა მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენებიდგანა სჩანს, რუსეთის სახელმწიფოში 1898 წელს მოელიან 1,474,049,923 მან. შემოსავალს და ამდენსავე ხარჯს. სახელმწიფოს ჩვეულებრივი შემოსავალი გადააჭარბებს შარშანდელს ასეთსავე შემოსავალსაო 46,091,722 მან., ხარჯი კი 66,226,351 მან. 1898 წ. რკინის გზებიდგან $31^1/_2$ მილ. მან. მეტი შემოსავალი ექმნება შარშანდელზედ და სასმელებით ვაჭრობითაც შემოუვა $22^1/_3$ მილ. მან. არა ჩვეულებრივის ხარჯისათვის აღრიცხულია 123,964,710 მან., რომელშიაც მოთავსებულია 37,447,020 მან., ციმბირის რკინის გზისათვის და დანარჩენ განზრახულ რკინის გზებისათვის-კი 23,565,182 მან. ამ ხარჯის გასასტუმრებლად უნდა გადადებულ იქმნას 3,300,000 მან. საგანგებო შემოსავლიდგან, 14,373,004 მან. ხარჯს გადარჩენილ ფულიდგან და დანარჩენი 106,291,706 მან. ხაზინის თავისუფალ ფულიდგან.

საერო განათლების სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულებათ და შეატყობინა, რომ რუსეთის სანავსნო და სავაჭრო საზოგადოების მმართველობამ შეღავათი მისცა მთავრობის ყოველ გვარ სასწავლებლის მოსწავლეთ საზოგადოების გემებით მთლად რუსეთის იმპერიაში სამოგზაუროდაო, სახელდობრ: მე-III კლასის მოგზაურთ 50% შეღავათი ექმნებათ და II კლ. მოგზაურთ 25% საჭმელ სასმელს გარდა.

— უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს ყოველ რკინის გზებთან საავადმყოფოები დააარსოს იმ მოხელეთა მოსათავსებლად, რომლებიც სულით დაავადდებიან.

— ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის მომხდარ უწესოების გამო უნივერსიტეტის მთავრობის მიერ სამუდამოდ დათხოვნილ იქმნა ერთი სტუდენტი, ორის წლით—6, ერთის წლით—77 და 61 გამოეცხადა საყვედური. სამინისტრომ სასჯელი შეუმცირა სტუდენტთ და მხოლოდ 30 სტუდენტამდის იქმნა დროებით დათხოვნილი, 111 საყვედური გამოეცხადა და 103 კა კი გაამართლეს.

## უცხოეთი

— გერმანია. ბერლინიდგან გაზ. „Daily News“-ს დეპეშით ატყობინებენ: „სადიპლომატო წრეებში ხმა დადის, რომ ამა წლის ზაფხულს ან შემოდგომაზედ ქალაქ მოსკოვში სახელმწიფოების წარმომადგენელთა ახალი კონ-

---

ვე ენა იცოდნენ. ვინც იმ დროისაა, ყველამ იცის ფრანგული. საინტერესო სანახავია ეს ხალხი მაშინ, როდესაც ესენი დამშეულებისავით მისცვივდებიან ხოლმე ფრანგს, ან ფრანგულის მცოდნე კაცს ფრანგულად სალაპარაკოდ. ამ გვარი შემთხვევა არა ერთი მქონდა, როდესაც ჩემი მასპინძელი (ესეც ელზასელი), რომელსამე ჩვენკენ მომავალს მოხუცს, ან ხანში შესულს კაცს სალამზედ უწინ ამ სიტყვებით დახვდებოდა: „ბ-ნო, არ გინდათ ფრანგულად ისაუბროთ? აი, ეს ყმაწვილი ფრანგულად ჰლაპარაკობს“. ამ სიტყვებზედ მგზავრი დაფაცურდებოდა და სიხარულისაგან აღარ იცოდა საიდგან დაეწყო. „მაშ თქვენ ფრანგულად ლაპარაკობთ, მე-კი ამდენი ხანია ხმა აღარ ამომიღია, ჩემი ფრანგული რაღა ფრანგულია“, იტყოდა ნანვით და გერმანულის კილოთი განაგრძობდა ბაასს. სიყვარული ფრანგულის ენისა იმდენად არის შერჩენილი ელზასში, რომ თუ პატარა შეძლება აქვს ოჯახს, ფრანგულის უცოდინარს არ გაუშვებს შვილებს, მეტადრე ვაჟებს, თუ რამდენისამე წლით არა, რამდენისამე თვით მაინც გაჰგზავნის საფრანგეთში ფრანგულის ენის სასწავლებლად. ამასვე ვერა ჰნახავთ ამ მხრივ ლოთრინგენში. აქ საოჯახო ენა ფრანგულია, რის გამოც „გაგერმანელებას“ აქ უფრო მეტს წინააღმდეგობას უწევდნენ და კიდევ უწევენ, ვიდრე ელზასში. აქ სიძულილს იქამდის მიუღწევია, რომ ახალგაზდობა სამხედრო ბეგარის კენჭის ამოღების დროს, რათა თავიდგან აეცდინათ გერმანიის ჯარში სამსახური, სამუდამოდ სტოვებდნენ სამშობლო კუთხეს, საფრანგეთში გადადიოდნენ, და აქ ჯარის კაცებად იწერებოდნენ, რის შემდეგაც კანონით შეეძლიანთ საფრანგეთის მოქალაქედ ჩარიცხვა. ამისი მაგალითი ეხლაც მრავალია.

ამავე საზოგადო უკმაყოფილების ნაყოფია ესრედ წოდებული „ახალგაზრდა ელზას-ლოტარენგიელთა“ დასის დაბადება, რომლის მოთავედ ბ-ნი პრაისი ითვლება. იგი თავისის პროგრამით ძველ „ოტონომისტებს“ წააგავს. ეს ახალი დასი, რომელიც უარ ჰყოფს ყოველგვარ უკანონო, უნაყოფო და ფუჭს უკმაყოფილებას, კანონიერ ნიადაგზედ არის დაფუძნებული.

იმპერატორის წარმომადგენელის, ანუ მთავარ მართებლის უპირველესი მინდობილება ის იყო, რომ ეს სიძულილი გაექარწყლებინა და იმისს სამაგიეროდ სიყვარული და ერთგულება დაეთესა. ამისათვის ესენიც, როგორც საზოგადოდაა ამ გვარ შემთხვევაში წესად მიღებული, „პოლიტიკას“ მიჰმართავდნენ ხოლმე. თავისის გულკეთილობით, თავმდაბლობით, სხვა-და-სხვა ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოებაში საპატიო წევრად ჩაწერვით და სხვ. ჰსურდათ გულ-უბრყვილო ხალხისათვის ქეჩო მოეფხანათ, მაგრამ ვისაც ახსოვდა საფრანგეთი, იმათზე კი არა ჰმოქმედებდა-რა. ამიტომ გადასწყვიტეს იმათთვის თავი დაენებებინათ და პირდაპირ მომავალი თაობა ჩაეგდოთ ხელში. ამისი შედეგი იყო, სხვათა შორის, ფრანგულის ენის აღკრძალვა პირველ-დასაწყისს სკოლებში. რამდენადაც მიახწია თავისს სურვილს გერმანიამ, ეს ზევით დავინახეთ და ქვემოდაც ვნახავთ. მაინც ასეთმა მოქმედებამ ამ ოც-და ექვს წელში მოახდინა ის, რაც სხვა ეკონომიურად უკან ჩამორჩენილს სახელმწიფოებს ამგვარ საქმეში მთელის საუკუნოებით ვერ მოუხერხებიათ. ასეა სულ მუდამ, როცა ეკონომიურად განვითარებულ ხალხს ჩაუვარდება ხოლმე ხელში იმაზედ ეკონომიურად განუვითარებელი ხალხი. ამ უკანასკნელის დღე დათვლილია, თუ დროზედ არ გაიღვიძა. ბრძოლას აპირებს პირდაპირ მთავრობასთან (დეპუტატების შემწეობით), ქვეყნისათვის თხოულობს სხვა-და-სხვა უფლებას, ავტონომიას და სხვა კონფერენციის სამთავროებთან გათანასწორებას. მომავალ არჩევნებისთვის დიდი სამზადისი აქვთ „Dans le pays et par le pays“ (ქვეყანაში და ქვეყნის შემწეობით), იძახიან ამ დასის წარმომადგენელნი. გერმანიასთან შეერთების შემდეგ არ მისცემია ამ ქვეყანას ის თავისუფლება, რომელიც სხვა გერმანიის შეერთებულს სამთავროებს აქვთ მინიჭებული, მაგალითად: ბავარიას, ბადენს და სხვათ, არამედ უმაღლეს მთავრობისაგან არის პირდაპირ დამოკიდებული და იმპერატორის წარმომადგენელი განაგებს, რისთვისაც არის წოდებული—Reichslande ად, ე. ი. საიმპერიო ქვეყნად, ადგილობრივ ქვეყანას განაგებს Statthalter, ვითარცა წარმომადგენელი იმპერატორისა; იმას სამინისტრო აქვს დანიშნული. სამინისტრო დაყოფილია რამდენსამე განყოფილებად, რომლებსაც განსაკუთრებული მდივანი განაგებს. სამინისტროს წევრნი იმპერატორისაგან ინიშნებიან. თვით ქვეყანა-კი მარტო დეპუტატების არჩევანებში იღებს მონაწილეობას. (25 წლისა უნდა იყოს ამომრჩეველი). ამ ჟამად ელზას-ლოტარენგიას თხუთმეტი დეპუტატი ჰყავს რეიხსტაგში. 8 იმათგანი ესრედ წოდებულს „ელზასელ“ დასს ეკუთვნის, საკუთარი პროგრამა არა აქვთ და უმეტეს ნაწილად კლერიკალები არიან (ექვსი მღვდელია); 2 (თხუთმეტთაგანი)—სოციალ-დემოკრატია და დანარჩენი ზოგი ლიბერალია, ზოგიც კონსერვატორი.

ნ. ა—ლი

(დასასრული იქნება)

გრესი იქმნება მოწვეული. კონგრესს აზრად ექმნება შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა განხილვა და მოწყობა. ამ კონგრესს ჩინეთისა, იაპონიისა და კორეის წარმომადგენელნიც დაესწრებიანო“.

**ჩინეთი.** გაზ. „Frank-Zeitung“-ის კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია ერთს წარჩინებულს, ჩინეთის საქმეების კარგად მცოდნე ჩინელთან, რომელსაც უთქვამს, რომ ჩინეთსა და გერმანიას, რუსეთსა და საფრანგეთს შორის არასოდეს არ მოხდება შეტაკებაო. პირიქით, ეს სახელმწიფონი თანხმობით ჰმოქმედებენ და გერმანიის მიერ კიაოჩაუს დაჭერა ამ სახელმწიფოთა ურთიერთ შორის მორიგებით მოხდაო. ჩინეთის სამხედრო წრეებში ჰფიქრობენ, რომ 1898 წლის ზაფხულს ჩინეთში დიდი ცვლილებანი მოხდება, მაგრამ რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის წინააღმდეგ არაფერს არ იმოქმედებენო.

**ისპანია.** ამ ბოლოს დროს ისპანიამაც მიაქცია ყურადღება აღმოსავლეთს, განსაკუთრებით ჩინეთს. გაზეთები იუწყებიან, რომ მინისტრთა საბჭომ დაადგინა დანიშნოს რაც შეიძლება მეტი ელჩები ჩინეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში და თვალ-ყური ადევნოს იქ საქმეთა მსვლელობასაო. საბჭოს ის აზრი წარმოუთქვამს, რომ საჭიროა ისპანიამაც ისარგებლოს ჩინეთით და ან ადგილი შეიძინოს, ან ჩინეთთან ვაჭრობა-მრეწველობის საქმე უკეთ მოაწყოსო.

**სერბია.** როგორც მკითხველებმა უკვე იციან, სერბიის ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნულ იქმნა სერბიის აწინდელის მეფის ალექსანდრეს მამა მილან ობრენოვიჩი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად მთლად განდევნეს სერბიიდგან. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია სერბიაში. ხალხს მეტად უცნაურად ეჩვენა ობრენოვიჩის მთავარ-სარდლად დანიშვნა, მით უფრო, რომ იგი სამხედრო საქმეში უნიჭო კაცად არის ცნობილი და ყველას კარგად ახსოვს ბოლგარიასთან ომის დროს იმის დამარცხება. გაზეთების სიტყვით, ამ დანიშვნას სერბიისთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექმნებაო. ობრენოვიჩმა უკვე ჩაიგდო სახელმწიფოს ყველა საქმე ხელში და ეხლა ნამდვილი მეფე ის არის და არა ალექსანდრეო.

— მილან ობრენოვიჩის მთავარ სარდლად დანიშვნის შესახებ სწერენ გაზ. Kölnische Zeitung-ს, რომ ეს საქმე ჯერ ისევ ოქტომბერში იყო გადაწყვეტილი და იგი სერბიის შინაურმა პოლიტიკამ გამოიწვიაო. საზოგადოების აზრით, მეფე ალექსანდრე მხოლოდ იარაღი იქმნება თავისის მამის ხელშიო.

ოსმალეთი. კონსტანტინოპოლის სომეხთა წრეებში ამტკიცებენ, რომ ოსმალეთის მთავრობა სცდილობს ფულის შემწეობით დააჩუმოს და დააწყნაროს სომეხთა სარევოლიუციო კომიტეტებიო. გაზ. „Neue Feie Presse“ კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტი ამბობს, რომ პერის გუბერნატორმა ამ რამდენისამე ხნის წინად მართლაც გაჰგზავნა პარიჟში რწმუნებული კაცი, ვიდაც სომეხი ბულბულიანი, რომელმაც აცნობა იქიდგან, სომეხთა რევოლიუციონერები დიდს გაჭირვებაში არიანო. სულთანის სასახლიდგან გუბერნატორმა ბრძანება მიიღო, საჭირო თანხა მიეცეს ბულბულიანს, რომ პარიჟის სომხებს დახმარება აღმოუჩინოსო.

## დამაკვირდი

იმდენად ნაკლებულება არ გვიმწელებს ცხოვრებას, რამდენადაც გარდამეტება და გადაჭარბება.

საფირ. ლექს.

* * *

მოუპოვებელი კეთილი არ გვაცდის, რომ მოპოვებულით ვისიამოვნოთ.

ჰერდერი

* * *

რა კაცმან გვარი დაისვაროს, ასისა ზღვისა წყალიც ვერ გარეცხის.

ვისრამიანი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარისის სტატისტიკოსთა უკანასკნელს კრებაზედ მკურნალს ბერტილლონს წაუკითხავს საყურადღებო მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს დედის წლოვანებას და იმას, თუ რამდენის შვილის დედაა—ტყუპების რაოდენობაზედ. ამ მოყვანილ ცნობებიდგან სჩანს, რომ ქ. მიუნიხში 1000 ორსულობაზედ მოდის 10,5 ტყუპი; პეტერბურგში—14,7. მოგვყავს ამ უკანასკნელ ქალაქის შესახებ ცნობები დედის წლოვანების შესახებ:

| | | |
|---|---|---|
| 16—20 წ. | . . | 6,0 |
| 21—25 „ | . . | 9,5 |
| 26—30 „ | . . | 14,2 |
| 31—35 „ | . . | 20,3 |
| 36—40 „ | . . | 21,7 |
| 41—45 „ | . . | 15,5 |
| 46—50 „ | . . | 16,0 |
| ორთაშუა რიცხვით | | 14,7 |

აქედან ნათლადა სჩანს, რომ დედის წლოვანებას დიდი გავლენა ჰქონია ტყუპების ყოლაზედ, ასე რომ 36—40 წ. დედაკაცს 4-ჯერ მეტი იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ტყუპი გაუჩნდება, ვიდრე ახალგაზდას 16—20 წ. დედის წლოვანების გარდა, მშობიარობის სიხშირეს თურმე მომეტებული მნიშვნელობა აქვს ტყუპების რაოდენობის საქმეში. გამოანგარიშებულია, რომ 1000 პირველად მშობიარეს შორის უჩნდება 8,1 ჯერ ტყუპი, მეათეჯერ მშობიარეთ-კი 27,3 ჯერ. სიხშირე ტყუპების ყოლისა წარმოსდგება არა მხოლოდ დედის წლოვანებისა, არამედ და უფრო მეტადაც იმის მიხედვით, თუ რამდენი შვილი ჰყოლია დედას. (La Jemaine Medicale № 1. 1898 წ.).

*
* *

გვეგონია, საცაა სახლებს უძრავ ქონების სახელი წაერთვას და მოძრავ ქონებათ იქმნეს აღიარებული. ამას წინად პარიჟში სამოქალაქო სკოლის მთელს შენობას შეუწყეს ორმოცი მუხის გორგალი და ერთის ადგილიდგან მეორე ალაგას გადიტანეს. ამ ოთხის წლის წინად კიდევ ერთის ადგილიდგან მეორე ადგილს წაიღეს უზარმაზარი შენობა. სენ-ლაზარის სადგურთან აგებული იყო ერთი სამსართულიანი შენობა. ეს შენობა ისე ასწიეს და მეორე ადგილას გადიტანეს, რომ ერთი მინაც არ გატეხილა ფანჯრისა. ეს კიდევ არაფერი იმასთან შედარებით, რა სასწაულსა სჩადიან ამერიკელები. 1888 წელს ნიუიორკში, ზღვის პირას ერთი სამ-სართულიანი სახლი იდგა, 140 ადლის სიგრძე. თურმე ზღვამ იმდენად მიიწია სახლთან, რომ შიში იყო, წყალს საძირკველი არ გამოეცალა სახლისთვის. ინჟენერმა ეს უზარმაზარი, რამდენისამე მილიონ ფუთის სიმძიმე სახლი ასწიეს და 150 ადლის მანძილზე დააშორეს უწინდელ ადგილს.

ჩიკაგოში კიდევ ერთ ადგილას რკინის გზის ლიანდაგი უნდა გაეკეთებინათ და ერთი უზარმაზარი სახლი, რომელშიაც 108 ოთახი ყოფილა, არც მეტი არც ნაკლები. ეს უზარმაზარი სახლი ინჟენერებმა ასწიეს და სულ სხვა ადგილას გადიტანეს. ეს გადატანა სახლისა 20 ათას მანათად დაჯდა. მაგრამ რომ დაენგრიათ, სულ ცოტა 80,000 მანათს იზარალებ(ი)ნენ.

ერთმა კალიფორნიელმა კაცმა არკატში მშვენიერი სასახლე ააგო. მერე ეს ქალაქი აღარ მოეწონა. არც აცივა, არც აცხელა, შეუწყო ამ უზარმაზარ სასახლეს თვლები. დააყენა რელსებზე და წაიღო შჩიპოლტის ყურეზე მდებარე იმ ქალაქში, რომელიც მოსწონდა.

## შემოწირულება

გორის დედათა პროგიმნაზიის მზრუნველი საბჭო მადლობას უცხადებს იმათ, რომელთაც ფული შეჰკრიბეს ხსენებულ სასწავლებლის სასარგებლოდ, სახელდობრ: გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს ა. ი. სლოვინსკის, რომელმაც 178 მან. 50 კაპ. შეჰკრიბა; ი. ი. პიასეცკის—143 მან. 18 კაპ. (სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელთა შორის); რ. რ. არნოლდს—114 მან. 20 კაპ.; პ. ნ. ლისივსკის—32 მან. 65 კაპ.; ტ. დ. მამალაძეს—24 მან. 50 კაპ. (გორის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთა შორის); ვ. ა. ბელიაევს—15 მან. (სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთა შორის); ნ. ნ. კუზნეცოვს—4 მ. (გორის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეთა შორის); ა ს. სტეფანოვს—7 მან. 60 კაპ. (გორის ხაზინის მოხელეთა შორის); მღ. ტ—ს ტერ-მინასოვს—55 მან.; სულ 607 მან. 63 კაპ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

31 დეკემბერი

**პარიჟი.** ელისეს სასახლეში მომხდარმა მინისტრთა კრებამ გადასწყვიტა გენერალი სოსიე, თანამდებობიდგან დათხოვნის შემდეგ, დასტოვოს უმაღლესს სამხედრო საბჭოს წევრად.

პრეზიდენტმა ფორმა მოაწერა ხელი იმ დეკრეტს, რომლითაც გენერალი ჟამონი დანიშნულ იქმნა უმაღლეს სამხედრო საბჭოს ვიცე პრეზიდენტად, რომელ თანამდებობასაც შეუერთდა გენერალისიმუსის თანამდებობაც; აგრეთვე იმ დეკრეტსაც, რომლითაც გენერალი ცურლინდენი დანიშნულ იქმნა პარიჟის სამხედრო გუბერნატორად.

მთავრობა თანხმობას არ განაცხადებს, რომ განხილულ იქმნას პონბრიანის მიერ აღძრული საგანი დრეიფუსის საქმის შესახებ, რადგანაც იმისის აზრით, საჭირო არ არის ამ საქმის შესახებ კამათი განახლებულ იქმნას.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება საკრედიტო ბილეთებზედ დადებულის სადამღნო გადასახადის გაუქმების შესახებ.

სამხედრო სამინისტროს მმართველმა გენერალ-ლეიტენანტმა კუროპატკინმა გამოაცხადა სამხედრო უწყების მიმართ, რომ სამინისტროს მმართვა გამგეობას შევუდექიო.

**სოფია.** დღესასწაულზედ, რომელიც გარდახდილ იქმნა ალექსანდრე ბატენბერგის სახსოვრად, მთავარმა ფერდინანდმა აფიცრებს უთხრა სიტყვა, რომელშიაც დიდის ქებით მოიხსენია ალექსანდრეს დიდი სათნოება და სამხედრო დიდება.

**ბუდაპეშტი.** მაგნატთა პალატამ შეიწყნარა პროექტი დროებით მორიგების შესახებ.

3 იანვარი

**პარიჟი.** გუშინ გარეშე საქმეთა სამინისტროში დამტკიცებულ იქმნა პირობა ტოგოს შესახებ. ამის გამო გრაფ მიუნსტერს ებოძა „საპატიო ლეგიონის“ ლენტი, რიჰტგოფენს—კომანდორის ჯვარი, გერმანიის დანარჩენ ელჩებს—ოფიცრის საკავალერიო ნიშნები.

500—600 სტუდენტი ნაშუადღევს გამოვიდნენ სენმიშელის ბულვარიდგან და ჰყვიროდნენ: „მიაფურთხეთ ზოლას! შორს ჩვენგან ურიები!“ სტუდენტებმა ასე ყვირილით გაიარეს ხიდი, თუმცა პოლიცია უშლიდა და ბოლოს ოპერის ქუჩაზედ ძლივს დაიშალნენ.

5 იანვარი

**პარიჟი.** კავერიანის პასუხად ქ-მა დრეიფუსმა გადაჭრით სთქვა, რომ ჩემს ქმარს არაფერი უთქვამს კაპიტან ლებრენ რენოსთვისაო და თან დასძინა, რომ ლებრენ რენომ და სხვებმა სასამართლოში დაიფიცეს უარჰყვეს კავერიანის ნათქვამი სიტყვებიო. წერილი ამ სიტყვებით თავდება: „არც მე და არც ჩემი მეგობრები იმ დრომდე არ დავყრით იარაღს, ვიდრე ცილის წამება არ გამოაშკარავდებაო“.

ვანდომის მოედანზედ დიდი მანიფესტაცია მოხდა სოსიეს პატივსაცემლად. სამხედრო გუბერნატორის სახლთან დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს სოსიეს, გაუმარჯოს ჯარს“!

ზოგიერთი სტუდენტები დადიოდნენ სხვა და სხვა ადგილას, განსაკუთრებით რივოლის ქუჩაზე და ბირჟის უბანში და ჰყვიროდნენ: „მიაფურთხეთ ზოლას“! პოლიცია საქმეში არ გარეულა.

**პარიჟი.** 4 იანვარს რამდენიმე მანიფესტაცია მოხდა. ბრიუსელის ქუჩაზე ჩაანტვრიეს ფანჯრები ერთის სახლისა, რომელიც ზოლასი ეგონათ. მერე ბრბო გაემართა ბასტილიისა და სენ-მიშელის ბულვარისაკენ, მაგრამ პოლიციამ დაჰშალა. ჰყვიროდნენ: სიკვდილი ურიებს! მიაფურთხეთ ზოლას! და ფანჯრები ჩალეწეს ზოგიერთ რესტორანებში. 15 კაცამდე დაპატიმრებულია. ჰყვიროდნენ აგრეთვე: «გაუმარჯოს ჯარს გაუმარჯოს პოლიციას».

**მარსელი.** აქაც მოხდა მანიფესტაციები. ხალხი ჰყვიროდა: „შორს ჩვენგან ურიები! მიაფურთხეთ ზოლას! გაუმარჯოს ჯარს“! უწესოება არა მომხდარა-რა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ოზურგეთის სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა და საზოგადოების თავმჯდომარე კნეინა ნინო კაციას ასული გურიელი დიდს მადლობას უცხადებენ იმ შემომწირველთ, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს ხსენებულ საზოგადოების სასარგებლოდ, სახელდობრ „კასპიის ამხანაგობას“ 50 მან. შემოწირვისათვის, კ. ჩ.—15 მან., ტფ...—10 მან., ცოვიანოვებს—5 მან., ესტატე ჩხარტიშვილს—5 მან., გ. აივაზოვს—3 მან., თულაევს – 3 მან, თ. ნესტორ ერისთავს — 2 მან., ლოსაბერიძეს—2 მან. და ალექსანდრე რომანოზის ძე იოანნისიანცს.

საზოგადოების საქმის მწარმოებელი ივ. კაციტაძე.

## განცხადებანი

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა,**

ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15§-ის თანახმად, ამითი აცხადებს, რომ 16 თებერვალს ამა 1898 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სახლებში საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი მამული ეკატერინე დავითის ასულის სმირნოვისა, სახელდობრ სახნავი, საბალახე, სამოსახლო და საძოვარი ადგილები, ბაღი და ტყე, მიწა ზომით 257 დეს. 1981 ოთხკუთხ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, რომელიც მდებარეობს ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის აგარაკებ წედისსა და ხიდისთავში, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახადის შემოუტანლობისათვის, 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-ძალით. მამულის თავნი ვალია 7,658 მან. 19 კაპ., სავადო შემოსატანი 1,528 მ. 80 კაპ., სულ 9,186 მან. 99 კაპ.

ვაჭრობა ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება ყოველ-გვარი გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი სესხისა შეიძლება შემოტანილ იქმნას ამავე ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისის დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი. თუ 16 თებერვალს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21§-ის საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება ამავე წლის 2 მარტს. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, ზედ შეკეცილ სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისა ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

(3 – 6.—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება 1 წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძალლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |